745/2ა/10873

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 7 (34) 6 აპრილი 1991

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!

მხოლოდშობილი ძე და სიტყუა მამისა,
ჯუარს დამსჭუალული, ნეფსით თჳსით ვნებული,
ურწმუნოთა გუემული,
ყურიმილის ცემად მოსრული,
საფლავსა დადებული და დაბეჭდული
სიკუდილისა დამსჯელი
და ბნელისა დამჴსნელი,
ღმერთი შეუწერელი,
არსებით უქცეველი
და უვნებელი
ყოვლად შეუწებელი
დაუბადებელი,
დაუსრულებელი,
ცხოვრების მომცემელი,
ქრისტე აღდგომილ არს მკუდრეთით
და ცხოველ არს იგი
აწ და უკუნისამდე.

მიქაელ მოდრეკილი

ეპისტოლე პარტიათა მიმართ

ნება მომეცით, მე, არსებულ პარტიათა გარეშე მდგომს ადამიანს, გამოვსთქვა ჩემი აზრი და გრძნობა იმ მოვლენის შესახებ, რომლის მოწამენი ვართ ქართულის გაზეთების მკითხველნი. დიდმა რევოლუციამ, ქალაქში რომ მოხდა, ყველას მოგვანიჭა თავისუფლება აზრის გამოთქმისა და შეძლება მოქმედებისა ყოფილის წეს-წყობილების დასარღვევად და ყველასთვის სასურველი ახლის დასამყარებლად. ცხადია, ჩვენი აზროვნების და მოქმედების ქვაკუთხედად ამ თავად უნდა იყვეს ხელის შეწყობა იმ დროებითის მთავრობისა, რომელსაც ახლა ხელთ უპყრია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და თავს უდვია ახალი წეს-წყობილების დამყარება. ზოგიერთი ძირითადი ცვლილებანი დროებითმა მთავრობამ თვითონვე გამოაცხადა აუცილებლად და შეუდგა კიდეც მათს განხორციელებას, ხოლო სრული ცვლილების მოსახდენად და წეს-წყობილების დასამყარებლად იგი გვპირდება დამფუძნებელი კრების მოწვევას.

როგორც მოსალოდნელი იყო, დროებითი მთავრობის მოქმედება არ იწვევს არავითარ წინააღმდეგობას და ყველანი, ვინც შეწუხებულნი იყვნენ უწინდელი მთავრობისა და წეს-წყობილებისაგან, სავსებით ემხრობიან ახალ მთავრობას და მოვალეობად სთვლიან ხელი შეუწყონ მას. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი პარტიები ამისთანა წუთში დაივიწყებდნენ ძველ მტრობას და ჭიშპობას და, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იმუშავებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არა ვხედავთ. შეთანხმების მაგიერ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ისეთი ლექსებით ლანძღავენ ერთმანეთს ორ ბანაკად დანაწილებული პარტიების წარმომადგენლები, რომ თმა ყალყზე უდგება ამ პარტიათა გარეშე მდგომ პირთა და აფიქრებინებს, ვაი, თუ ამგვარ მტრობა-ჭიშპობას ქვეყნის დამღუპველი შედეგი მოჰყვეს.

ერთი პარტიის პუბლიცისტები მეორე პარტიის გამოსვლას რეაქციონულად და კონტრ-რევოლუციონურად სთვლიან, მეორე პარტიის მწერლები კი პირველი პარტიის საქციელს მამულის ღალატად ნათლავენ. ამაზე მეტად ურთიერთობის გამწვავება შეუძლებელია. ერთმანეთის ლანძღვასა და ბრალდებაში ისე შორს წავიდნენ ჩვენი პარტიების მესვეურნი, რომ საკმარისია ერთი ნაბიჯი წინ წადგან, რომ დაერიენენ ერთმანეთს იარაღით და დაიწყონ ჟლეტა ერთის მხრით „რეაქციონერებისა“ და „კონტრ-რევოლუციონერებისა“, მეორე მხრით „მამულის მოღალატეებისა“. იმისთანა ხანაში, როგორშიაც ახლა ვართ, ადამიანთა გრძნობიერება მეტად ადვილ-გასაღიზიანებელია და იმისთანა ფიტბი ბუნების ხალხში, როგორც ჩვენა ვართ, ჩნდებიან ხოლმე ფანატიკოსები, შეშლილნი როგორც მამულის სიყვარულზე, ისე რევოლუციის სამსახურზე. შესაძლებელია, ჩვენის გაზეთების კითხვით გაღიზიანებული ერთი ფანატიკოსი ეცეს დანით ერთი პარტიის ცნობილ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ფანატიკოსმა მეორე პარტიის აგრეთვე ცნობილ წარმომადგენელს დაუმიზნოს რევოლვერი. ღმერთმა ნუ ჰქნას ეს, მაგრამ რომ მოხდეს, ნუღარ გაგიკვირდებათ. აი, მაშინ დაიწყება ნამდვილი ღალატიც, რეაქციაც და კონტრრევოლუციაც.

ამისთანა მოვლენის ასაცილებლად საჭიროა, პარტიების კალმოსნები ჩაუფიქრდნენ თავიანთი მოქმედების ხასიათს. ან მოსპონ სრულებით ერთმანეთის წინააღმდეგ ისეთი ხასიათის ლაშქრობა, როგორსაც ახლა აწარმოებენ, ან ისე გააზომიერონ, რომ საშიში არ იყოს ფანატიზმის აღძვრა. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ მიზეზი ჩვენი პარტიების უთანხმოებისა დღევანდელ დღეს — ეროვნული კითხვა — ჩემის ღრმა რწმენით, არც ისეთი ხასიათისაა, რომ მის გარშემო არ შეიძლებოდეს პარტიათა შეთანხმება. რამდენადაც მე ვიცნობ ჩვენი პარტიების პროგრამას და აზრს, ხსენებული კითხვის შესახებ, მათი შეუთანხმებლობა არის ერთმანეთის გაუგებრობის და ჯიუტობის შედეგი. უნდა მოისპოს გაუგებრობაც და ჯიუტობაც.

დავით კარიჭაშვილი.

„საქართველო“,
1917 წლის 21 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯორჯაძე და ქართული მიწა-წყლის დაცვის პროგრამა

არჩილ ჯორჯაძე, როგორც რეალისტი მოღვაწე, ხედავდა, რომ ცარისტული რეჟიმის პირობებში რთული იყო და დიდ დროს მოითხოვდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის პროგრამა — მაქსიმუმის განხორციელება — ჯერ ავტონომიის მოპოვება და შემდეგ სრული ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა. ამიტომ, მან თავდანვე შეადგინა პროგრამა — მინიმუმი, მოხაზა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრისათვის ერთობლივი საქმიანობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული და კოლონიური პოლიტიკის პირობებში მოეთხოვებოდათ.

არ. ჯორჯაძეს პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა მოკამათე დასებს გაერკვიათ, რა აშორებდა მათ ერთმანეთისაგან და რომელი საკითხების გადაწყვეტის დროს უნდა ეგლოთ ხელიხელჩაკიდებულთ. იგი უარჰყოფდა ეროვნულ-დემოკრატებს, დაფიქრებულიყვნენ სოციალურ პრობლემებზეც. მოუწოდებდა „მესამე დასელებს“ მთლიანობაში გაეზიარებინათ ქართველი ერის მდგომარეობაცა და ცალკეული კლასების ინტერესებიც. გაეცნობიერებინათ სიტუაცია, შეეგნოთ, რომ საქართველოს საშიშროებას კლასთა წინააღმდეგობა კი არ უქმნიდა (ეს თითქმის ყველა ქვეყნისათვის საერთო მოვლენაა), არამედ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა. ყოველი ქართველი იმაზე უნდა ფიქრობდეს, როგორ გადაურჩეს გადაგვარებას, რა იღონოს თავისი „ვინაობის დასაცავად“, ერის გადასარჩენად, მისი ტერიტორიის შესანარჩუნებლად.

არ. ჯორჯაძის „კონკრეტული საქმიანი პროგრამა 5 პრობლემის გარშემო ტრიალებდა. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იყო „საქართველოს მიწის ფონდისა და მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნების“ საკითხი.

არ. ჯორჯაძე ტერიტორიის ერთიანობას თვლიდა ერის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად, მიწა და მიწათმოქმედება მიაჩნდა ქართველი ერის გამძლეობის საფუძვლად. აგრარულ საკითხს იგი ყოველთვის ქართველი ერის აწმყოსა და მომავალთან უმჭიდროეს კავშირში განიხილავდა.

ცნობილია, რომ რუსეთის ცარიზმი საქართველოს დაპურობისთანავე შეუდგა სახელმწიფო (იგივე საბაზინო) მიწის ფონდის შექმნას, რათა ოპოზიციაში ჩამდგარი ქართველი უფლისწულებისა და თავადაზნაურობისათვის ეკონომიკური საფუძველი გამოეცალა. რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში თანდათანობით გადავიდა სახასო, საუთლისწულო, ანტირუსულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასჯილ თავადაზნაურთა მამულები — — ტყეები, საძოვრები, სახნავი მიწები, მასზე მცხოვრები გლეხებითურთ. ცოტა მოგვიანებით რუსეთის ცარიზმი დაეუფლა ქართული ეკლესიის საკუთრება-მფლობელობაში მყოფ მიწებსაც. დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა საქართველოს მიწის ფონდის ნახევარზე მეტი.

XIX ს.-ის განმავლობაში რუსეთის მთავრობამ საქართველოში ჩამოასახლა ათასობით კომლი რუსი, გერმანელი, სომეხი, ბერძენი და სხვ. კოლონისტი. საგრძნობლად შეიკვეცა ქართველი კაცის საარსებო სივრცე, რამაც, ბუნებრივია, ჩვენი ეროვნული მოღვაწეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

XIX-XX სს. მიჯნაზე ქართველი თავადაზნაურობის საკუთრებაში, მართალია, ჯერ კიდევ რჩებოდა თითქმის 2 მილ. ჰა. მიწა, მაგრამ მაღალი წოდების მამულების დიდი ნაწილი ბანკებში იყო დაგირავებული და სესხის დაუფარაობის გამო, საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. გაყიდული მიწების მცირე ნაკვეთებს ქართველი გლეხები ეუფლებოდნენ, დიდ ფართობებს კი — სომეხი, რუსი და უცხოელი ვაჭარ-მრეწველები ყიდულობდნენ.

საქართველოს მიწის ფონდის დაცვის პრობლემა დაისვა უკვე XIX ს-ის 60-იან წლებში. ამ საკითხზე მსჯელობდნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართველი მოღვაწენი. XX ს-ის დამდეგიდან ქართული მიწის უცხოელთაგან დაუფლების ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა და სწორედ ამ დროს ატეხა არ. ჯორჯაძემ განგაში.

არ. ჯორჯაძეს არაერთხელ უთქვამს, რომ ქართველი თავადაზნაურობის უდიდესმა ნაწილმა ფეხი ვერ აუწყო კაპიტალიზმის განვითარების პროცესს, ვერ ახერხებს მეურნეობის რაციონალურად წარმართვას, იძულებულია საკრედიტო დაწესებულებებს მიმართოს, მამულების დაგირავებასა და გაყიდვას მიჰყოს ხელი. ბანკებმა მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი დაიჩქარეს, წოდებრივი მიწათმფლობელობის აღსასრული მოაახლოვეს. მისი აზრით, თავადაზნაურობის, როგორც მიწის მფლობელისა და მეურნის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ, საკითხმა — თუ ვის ხელში გადავა თავადაზნაურობისაგან გაყიდული მიწა-წყალი — ღრმად უნდა ჩაგვაფიქროსო. „ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გასაყიდი მამულები ან ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, ან კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოდ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირებთან ეკონომიური ბრძოლისათვის“ (არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 9-10).

„ქართული მიწა-წყლის საკითხს, — წერდა არ. ჯორჯაძე, — უმეტესი ყურადღება უნდა მიექცეთ, რადგან ენასა და გვარტომობასთან ერთად მიწაა ერთი უპირველესი ფაქტორი ეროვნული ცხოვრებისა“.

არ. ჯორჯაძე გულისწყრომით შენიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს ეს საკითხი არ ადარდებს. იმ მოძღვრების მიმდევართ, რომელნიც საქართველოში ბურჟუაზიისა და მუშების კლასობრივი ბრძოლის მეტს ვერაფერს ხედავენ, არ ესმით ამ საკითხის სიმწვავე. მათთვის სულ ერთია, ვინ დაეპატრონება საქართველოს მიწა-წყალს. მარქსისტებმა უნდა შეიგნონ, რომ დიდ შეცდომას უშვებენ, მათაც უნდა შეუწყონ ხელი მიწის საკითხის სამართლიან გადაწყვეტასო. თვით არჩილმა კი იმთავითვე წამოაყენა ეროვნული ბანკის შექმნის წინადადება, საერთო ქართული საადგილმამულო ბანკი მოახერხებდა, მისი აზრით, მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესის რეგულირებას, გაუადვილებდა ქართველებს კონკურენციაში გამარჯვებას, მშობლიური მიწის ნაკვეთების შესყიდვას. თავადაზნაურთა მიერ დაგირავებული დიდი მამულების ერთ ნაწილს თვით ეროვნული ბანკი შეიძენდა, წვრილ ნაკვეთებად დაყოფდა და გრძელვადიანი კრედიტების მიწოდებით დაეხმარებოდა გლეხობას მისთვის ესოდენ საჭირო მიწის ყიდვაში.

არ. ჯორჯაძის ეს თვალსაზრისი პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად გაიზიარა თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმაც და სცადა გლეხობასთან საერთო ენის გამონახვა, აგრარული საკითხის სიმწვავის განელება. პრივილეგიურ წოდებას, ბუნებრივია, აშინებდა აგრარული ურთიერთობისა და მიწათმფლობელობის ტრადიციული ფორმების მსხვრევა რევოლუციური მეთოდებით. მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო მკვეთრ შერყევათა გარეშე, თანდათანობით მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გაფართოებით. ისინი შეეცადნენ პრაქტიკულად გამოეყენებინათ არ. ჯორჯაძის წინადადება, გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფდნენ ქართველი თავადაზნაურობის მიერ გაყიდული მიწის ქართველთავე ხელში გადასვლას. პატრიოტულ პოზიციაზე მდგომი თავადაზნაურობა მოითხოვდა აგრეთვე, რომ თავისუფალ სახაზინო მიწებზე რუსი კოლონისტები კი არ ყოფილიყვნენ ჩამოსახლებული, არამედ იგი გამოეყენებინათ მცირემიწიან ქართველ გლეხთათვის დამატებითი ნაკვეთების გამოსაყოფად.

XIX-XX სს. მიჯნაზე რუსეთის ცარიზმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამერიკაკასიის კოლონიზაციას. 1899 წელს სპეციალურად შექმნილმა საგადასახლებო საამართველომ დაიწყო ტერიტორიების წინასწარ მომზადება რუსი კოლონისტებისათვის. ამ მხარეში „აღმოჩინეს“ 1,5 მილ. ჰა „თავისუფალი მიწა“, რომელზეც ათიოდე წელში შეიქმნა 100-ზე მეტი რუსული დასახლება. ამასთან დაკავშირებით სოციალ-ფედერალისტური გაზეთი „იმერეთი“ წერდა, რომ უცხოელები უმთავრესად სამრაიონს — თბილისს, ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებს ეტანებიანო. „ამ მხარეებში სახაზინო ადგილების საკითხზე. მან კარგად შეამჩნია, რომ ოსების მიგრაცია განსაკუთრებით გაძლიერდა XIX ს-ის მეორე ნახევარში და გრძელდებოდა XX ს-ის დამდეგსაც. არჩილის მიერ მოტანილი სარწმუნო სტატისტიკური მასალის მიხედვით ფონეს ხეობაში ოსმა ხიზნებმა დაიკავეს 8500 დესეტინა. ისინი დაეუფლნენ თიღვის, თერეგვანის, ახალშენის, ხუნდისუბნის, ტყის უბნის, ნაბაკევის, შინდარას და სხვ. სოფლების მიწა-წყლის დიდ ნაწილს. სოფ. ყორნისში ამ ორმოცდაათი წლის წინ 7 კომლი ხიზანი ცხოვრობდა, დღეს 120 კომლი ცხოვრობს. ხერხეულიძეების მამული თითქმის მთლიანად ოსმა ხიზნებმა დაიკავეს, ტატიშვილების 2 ათას დესეტინიან მამულზე ოსების 7 სოფელი გაშენდა (იქვე, გვ. 58-59).

დიდად უკეთესი მდგომარეობა, არჩილის განცხადებით, არც კახეთში იყო. ქართველი გლეხობა შიერაქის ყამირ მიწებს, თავის სურვილისამებრ ვერ იყენებდა. არაგვის ხეობის სოფ. სნოდან შირაქში ჩამოსული გლეხები მთავრობამ აყარა და სხვა ქართველებსაც აუკრძალა ამ ველზე დასახლება იმ მოტივით, რომ 1884 წლის კანონის ძალით ეს ადგილები მთიელთა საზამთრო საძოვარიაო. რუსი მოხელეები, შენიშნავს არჩილი, 1884 წლის კანონის დარაჯად გამოდიან და ეს კანონი კი თვითონ დაარღვიეს, რადგან ამ რამდენიმე წლის წინათ გუბერნატორმა სვეჩინმა ამ ადგილებში რუსები დასახლა და სოფელსაც თავისი სახელი „სვეჩინო“ დაარქვაო“.

მთავრობის კომისიამ განიხილა დუშეთისა და თიანეთის მაზრის მცხოვრებთა თხოვნა შირაქში ჩამოსახლების ნებართვის თაობაზე და არ დააკმაყოფილა. ამასთან დაკავშირებით არჩილ ჯორჯაძე გულისწყრომით წერდა, რომ მცირემიწიანობით შეწუხებულ ქართველებს საქართველოს თავისუფალ ადგილებში გადასახლების ნებას არ აძლევენ, შიდა ქართლში ოსების ჩამოსახლებას კი, არა თუ აფერხებენ, აქეზებენო (იქვე, გვ. 62). ასევე ხდება შავზღვისპირეთში. იქ ქართველებს დამკვიდრებას უკრძალავენ, რუსებს კი ორგანიზებულად ასახლებენო.

რუსეთის ცარიზმის დემოგრაფიული და კოლონიური პოლიტიკის შედეგი არ. ჯორჯაძის აზრით, ის იყო, რომ საქართველოს მიწის ფონდზე ქართველთა უფლება შეიზღუდა, მის ხარჯზე სხვა ერთა მიწათმფლობელობა გაფართოვდა, რამაც გააძლიერა ეროვნული შუღლი და მტრობა. აღმოჩნდა, რომ ქართველთა მსვლელობაში საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვაოდა, დღეს ოდნავეა მოჩანს ქართველი ეროვნების ნაშთი, რადგან იქ ეროვნული შემეცნებაც მიმკრალა, ენაც ისპობა. ჩვენი ცხოვრების უკუღმართი მხარე, თუ გებავთ, სწორედ აქ არის. აქ არის განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში სასაცილოდაც არ ჰყოფნით ამ საგნის შესახებ ლაპარაკი; როგორ, თქვენ გინდათ შეზღუდოთ სხვადასხვა ხალხის ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, გინდათ გარეკოთ არაქართველნი საქართველოდან? ეგ ზომ ნაციონალიზმია, ეგ ზომ შოვინისტობაა და სხვა ამგვარი“. არჩილ ჯორჯაძე ამგვარი განცხადების ავტორებს საკითხის არსში ჩაუხედაობასა და ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას უკიჟინებს: **„ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წინააღმდეგი ვართ, არც უცხოელების გარეკვის აზრი გვაფრთოვანებს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქნას თანახმად სამართლიანობისა და კავკასიის ყველა ერთა ინტერესებისა** (ხაზგასმა არჩილ ჯორჯაძისაა); ჩვენ გვინდა დავუკანონოთ ემიგრაცია-იმიგრაციას სტიქიური ხასიათი და ამასთან გვინდა, რომ გაბატონებული ბიუროკრატიის ხელში პოლიტიკის იარაღად არ იყოს იგი. ემიგრაცია-იმიგრაციის მოუწესრიგებლობას იმისთანა სერიოზული და სავალალო მნიშვნელობა აქვს, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება ყოველად შეუწყნარებელი სილაჩრეა“. (იქვე, გვ. 65-66).

1911 წ. 11 მაისს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი), მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მხარდაჭერით, რუსეთის სახელმწიფო საათაბეროში შეიტანეს კანონპროექტი ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციისა და ხიზანთა მიწათმოწყობის შესახებ. იგი ითვალისწინებდა ხიზნებისათვის მათ სარგებლობაში არსებულ მიწებზე საკუთრების უფლების მიცემას გამოსასყიდი ფასის გაღების გარეშე.

სოციალ-დემოკრატები ქართველ და უცხოეთიდან მოსულ ხიზნებს ერთ ტაფაში ათავსებდნენ, ხიზნურ ურთიერთობას აგრარულ-სოციალური ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად აცხადებდნენ და თავს იქებდნენ რადიკალური კანონპროექტის სათაათბეროში წარდგენით. რუსეთის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ, მართალია, სოციალ-დემოკრატთა პროექტი არ მიიღო, სათათბეროში უფრო ზომიერი კანონპროექტი შეიტანა, რომელიც ხიზნების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის წინაპირობად მათ სარგებლობაში არსებული მიწების გამოსყიდვას მიიჩნევდა, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობა არც მთავრობის კანონპროექტმა დაკმაყოფილა, პროტესტი გამოთქვა მიწაზე მისი საკუთრების უფლების დარღვევის გამო.

აღნიშნულ საკითხზე კამათმა ფართო ხასიათი მიიღო. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სოციალური და ეროვნული რევოლუციონერები. არ. ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, იმის გამო, რომ ხიზანთა სამ მეოთხედს ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსები შეადგენდნენ, ხიზანთა საკითხი ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ეროვნული საკითხის ნაწილად მიიჩნია და ქართული ტერიტორიების ქართველთა ხელში დატოვება მოითხოვა.

1913 წელს, როცა არ. ჯორჯაძე უკვე ცოცხალი აღარ იყო, მისი თვალსაზრისის და ამდენად ქართველი ერის ინტერესების დამცველად გამოვიდნენ მ. მაჩაბელი და ალ. ყიფშიძე. მათ შეადგინეს პოლემიკური ნაშრომი — „ხიზნური ურთიერთობის შეწყვეტა საქართველოში“ (რუსულ ენაზე), რომელიც 1914 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ნაშრომში ის ძირითადი აზრია გატარებული, რომ მეფისნაცვლის პროექტი ეწინააღმდეგება ხიზნურ ადათებს, მიწათმოწყობის პრაქტიკას და სამართლიანობის პრინციპს. პროექტი თუ კანონად იქცა, მხარეებს კი არ შეარიგებს, არამედ სამოქალაქო ომს გამოიწვევსო (გვ. 13. 29-30, 33-35).

ცხინვალის ფრონტი

ცხინვალი, შესაძლებელია, საქართველოს საბედისწერო ფრონტად იქცეს. იქ სწარმოებს ეხლა ნამდვილი ომი, ყოველნაირ ჯურის იარაღის საშუალებით და ჩვენ უკვე ცნობები გვაქვს, რომელნიც მოწმობენ, რომ ეს ომი ადვილად არ გათავდება, რადგანაც ოსობის მხრივ ბრძოლა მასსიურ ხასიათს ღებულობს. თავი რომ დავანებოთ იმ ჭორებს, რომლებიც სულ ოდნავადაც ვერ ააშკარავებენ ცხინვალის ამბების ნამდვილ ხასიათს, საკმაოა დავახასიელოთ მთავარი მიზეზი, რომ საკითხი ნათელი გახდეს. ცხადია, ცხინვალშიც ის მთავარი მიზეზი მოქმედებს, რომელიც მოქმედებს ერევანში, არდაგნში, ბაქოში, შამხორში და ხადახლოში.

ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ მთავარ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის ხაზი უკვე მოზნიქა ჩვენში და სხვა მიმართულება მისცა მას. არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიაში უკვე მოხდა კოლიზია რევოლუციურ სულისკვეთებისა და დროშა რევოლუციისა ის აღარ არის უკვე, რომელსაც მივდევდით ჩვენ რევოლუციის პირველ ნახევარში. მთელი ტრაგედია ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როცა ქართველი დემოკრატია ისევ სოციალურ რეფორმების და დემოკრატიზმის ნიადაგზე სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ასეთია მდგომარეობა ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და ასეთი სურათი იშლება დღეს საქართველოშიც. ის, რაც მოხდა თათარ-სომეხთა შორის, უნდა მომხდარიყო საქართველოშიც — ამის მაჩვენებელია ცხინვალის ამბებიც: შეეძლო განა ოსობას, მომწყვდეულს საქართველოს ჩრდილოეთ მაღლობზე ადრე თუ გვიან არ გაეზიარებინა ის გეზი პოლიტიკისა, რომელსაც იზიარებენ დღეს ყველა ერები ჩვენში, გარდა ქართველებისა. პოლიტიკა წაგლეჯისა — აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მაღლობი — ოსეთია! ამ ანარქიისა და ნგრევის დროს, რომელიც მეფობს დღეს ჩვენში და, ისეთ პატარა და უკულტურო ერისათვის, როგორიც არის ოსობა, არაფერია იმაზე ადვილი, რომ განუხორციელებელ ოცნებებით იკვებებოდეს და, მათ პატრიოტულ თავში საქართველოს გულში დამოუკიდებელ ან ავტონომიურ ოსეთის შექმნის იდეა აღმოცენდა. არის ეს პოლიტიკური იდეა, ან ნაციონალური მისწრაფება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, თვით ჩვენს დროშიც, რევოლუციისა და ერთა თვითგამორკვევის ხანაში, ეს იდეა ავანტიურად დარჩება. ჩაუფიქრდით ამ იდეის ბუნებას. ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილი საქართველოსი, სადაც ამ უამათ ოსები ცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი. ვინც ჩვენ იმას გვეტყვის, რომ დღეს იქ ქართველები არ ცხოვრობენ, ამიტომ ის არც საქართველოა, მან ისიც უნდა სთქვას, რომ არც ხერხემალია ტანისათვის აუცილებელი რამ, რადგანაც მასზედ არ არის თვალები, ყური, ან გული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქ, გულის სიღრმეში ოსობის უბრალო ხალხი, რომელსაც პოლიტიკანიზმის შხამი ჯერ არ ასწვეთებია გულში, ასევე მსჯელობს. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ასე მსჯელობდა დღევანდელ ავანტურისტულ დღეებამდე, რადგანაც ჩვენ გვსმენია მრავალი პოლიტიკური ფანტაზია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში — არა. მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სულისკვეთება ძირიანად შეცვლილი არ არის დღეს ოსებში და ისინი საფუძვლიანად არ ისწრაფიან თავის „იდეალების“ განხორციელებას. დღეს უკვე აშკარად ლაპარაკობენ, რომ მთელ ამ საშეუხარო ისტორიას დიდი კავშირი აქვს ჩრდილოეთ-კავკასიის უკანასკნელ დროის ამბებთან და, შესაძლებელია, პოლიტიკურ იდეალის ტვირთი, რომლის ზიდვა მას არ შეუძლიან, სულ სხვა გარეშე ძალამ აჰკიდა ოსობას. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც სცდებიან და ავანტიურაში ებმიან არა მარტო ცალკე პირნი, არამედ მთელი ერებიც. შესაძლებელია, უკულტურო და პატარა ერს ადვილად მოეჩვენა ამ ტვირთის ზიდვა და ჩაება ავანტიურაში. თუ არაფერი გამოვიდა და დავმარცხდით, ჩვენ დაგვსჯიან, როგორც უბრალო დამნაშავეთ, თუ გამოვიდა — გაუმარჯოს თავისუფალ ოსეთს! აი, როგორ მსჯელობენ, ალბათ, ოსის „პოლიტიკოსნი“. მაგრამ ცხინვალის ამბები ხაშურში მოჩვენებია საქართველოს მომავლისათვის და საჭიროა არა მარტო მისი სახწრაფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდეს.

შალვა ამირეჯიბი,
„საქართველო“,
1918 წლის 28 მარტი.

ალყაშემორტყმულ ქართულ სოფელში

დღე არ გავა, რომ შემაძრწუნებელი ცნობა არ მივიღოთ სამაჩაბლოდან. გაცოფებული ოსი ბანდიტები ანგრევენ და აწიოკებენ ქართულ სოფლებს, საშინელი წამებით ხოცავენ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს. მათ ავკაცობას ბოლო არა აქვს, ზიზღსა და დაუნდობლობას — საზღვარი.

ქართველ კაცს ქართული მიწიდან ერეკებიან, უსპობენ უკანდასაბრუნებელ გზებს. ლტოლვილებით აივსო ქალაქები გორი, მცხეთა, თბილისი...

ყოველდღე უამრავი გაუბედურებული და სიცოცხლეგამწარებული ადამიანი თვალცრემლიანი ეთხოვება გაპარტახებულ ეზო-კარს და თავშესაფარს ეძებს. გამორბიან, რადგან უსაფრთხოების გარანტიას ვერავინ აძლევს, მათ ამ ომში, — პირდაპირ ვთქვათ, — საშველი არა აქვთ.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ალყაშემორტყმულ ქართულ სოფლებში, ღვთის ანაბარად დარჩენილნი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დგანან.

ეს ამბავიც ერთ-ერთი ალყაშემორტყმული სოფლის მკვიდრმა, ხოხო ფირიდაშვილმა გვიამბო:

„ქართული სოფელი სვერი კეხვისა და ქემერტის ჩრდილოეთით, ჯავის რაიონიდან 4-5 კმ-ის მანძილზე მდებარეობს.

ერთ თვეზე მეტია, რაც ფერდობებზე განლაგებული სიმაგრეებიდან სოფელს ცეცხლს უშენენ ოსი ბანდიტები. ისვრიან ყველანაირი სახის იარაღიდან, ღრმითა და ღამით.

ოსები განსაკუთრებული „გულმოდგინეობით“ 31 მარტის რეფერენდუმისათვის „მოემზადნენ“. საგანგებოდ ამ დღისათვის მათ ჩრდილოეთ ოსეთიდან დამხმარე ძალებიც ჩამოუვიდათ. იმუქრებოდნენ, შავი რეფერენდუმი უნდა გავუთენოთ ქართველებსო.

30 მარტს დილიდანვე დაიწყეს სროლა. უამრავი ტყვია და ჭურვი დააყარეს სოფელს თავზე. ამ დღეს რამდენიმე „მსხვრევადი რაკეტაც“ (ე. წ. „ბალვანკები“) გვესროლეს, რომლებიც აქამდე არ გამოუყენებიათ ბანდიტებს. სოფლის მოსახლეობა სანგრებში იყო ჩამალული და საბედნიეროდ არავინ მოუკლავთ, მაგრამ მსხვერპლი მაინც ვერ ავიცილეთ: დაინგრა რამდენიმე სახლი, დაზიანდა სარეფერენდუმო შენობა, რომელსაც ექსტრემისტებმა რაკეტა მოახვედრეს.

ჩვენ, ეროვნული გვარდიისა და სახალხო ფრონტის თოთხმეტაციან რაზმს, წრიული თავდაცვა გვიკავია.

ოსები საბჭოთა სამხედროებსაც ესხმიან თავს და ჩვენ რას დაგვინდობენ. იყო ასეთი შემთხვევა: ოთხშაბათს სამხედროებისა ორი ჯავშანტრანსპორტი ე. წ. „БРДМ“-ი შემოვიდა სოფელში, რომლებზეც გვარდიის აღმნიშვნელი ფერბები ეხატა. მთის კალთებზე მყოფმა ოსმა ბანდიტებმა მათ ტყვიამფრქვეველიდან და ნაღმსატყორცნიდან აუტეხეს სროლა, რაზეც სამხედროებმაც მასიური სროლებით უპასუხეს.

ამ შეტაკებამ სასიკეთო შედეგი გამოიღო სვერის მცხოვრებლებისათვის, რადგან არც იმ დღეს და არც მომდევნო დღის საღამომდე ოსების მხრიდან სროლა არ ყოფილა... მაგრამ, ხუთშაბათ საღამოს, სოფელი კვლავ ზანზარებდა რაკეტებისა და ჭურვებისაგან. მთელი ღამე ყურებთან გვიწიოდა ტყვიები.

აი, ასე გრძელდება სრული ერთი თვე. ამ ერთი თვის განმავლობაში ერთი მშვიდი დღე არ ახსოვს სოფელს. დღეს სვერი ფაქტიურად მოწყვეტილია კაცობრიობას, სამყაროს. ამას დაუმატეთ ის, რომ ოსების მიერ აფეთქებული იქნა ხიდი, რომელიც სვერს დანარჩენ ქართულ სოფლებთან აკავშირებს.

სოფელში თითქმის არ დარჩა სახლი, რომელიც დაზიანებული არ იყოს. არის ადამიანის მსხვერპლიც. ქალები და ბავშვები შეშინებულები არიან; მამაკაცები მხნეობენ, მაგრამ მათაც ეტყობათ სასოწარკვეთა, რადგან არ იციან რა ჭმნან, ვის სთხოვონ შველა... გაფთრებული ბანდიტები დახვრეტით ემუქრებიან ოს ქალებს, რომელიც ქართველების ცოლები არიან...

არის პროდუქტი, და რაც მთავარია, იარაღი, ტყვია-წამალი... მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ჩვენი რაზმი და სოფელი ეაქკაცები პოზიციებს არ დავთმობთ. ეს საერთო გადაწყვეტილებაა, რადგან, თუ ოსებმა სვერი ხელში ჩაიგდეს, მათ გზა ეხსნებათ სხვა ქართული სოფლების კეხვის, ქემერტისა და თამარაშენის ასაწიოკებლად. ამის დაშვება კი ყოველად შეუძლებელია.

ასეთი ვითარებაა დღეს სვერში. ხალხს კი ღმერთმა უწყის რა მოხდება...“

ცხინვალი

...კამათში ჩაება რევაზ გაბაშვილიც. მან გაილაშქრა სოციალ-დემოკრატ არ. ჯაჯანაშვილის წინააღმდეგ, დაიცვა არ. ჯორჯაძის პოზიცია. რ. გაბაშვილი წერდა, რომ რუსეთის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას პოლიტიკური მიზანი აქვს, მას უნდა დაარღვიოს ქართველთა ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობა, ქართველი სოციალ-დემოკრატები კი მას არსებითად ხელს უწყობენო. „ჩვენთვის ისიც ახალი აღმოჩენაა, რომ ფორმულა „საქართველო ქართველებისათვის“ თურმე რეაქციონერი, გაბატონებულ ერთა აზროვნებაა და ეს მთელ საქართველოს სამხედრო ბანაკად გადააქცევს“. გააჩნია, როგორ შინაარსს ჩავდებთ ამ ფორმულაში. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ „როგორც დევნილ ერს, არავითარი საშუალება არ გვაქვს და არც გვსურს გვქონდეს სხვა პატარა მოსახლე ერთა დასაჩაგრავად, ან გასადევნად. ჩვენ, პირიქით თავს ვიცავთ იმ პოლიტიკისაგან, რომელიც ძალმომრეობით სარგებლობს და ჩვენის კისრიდან ასუჭებს უცხო ელემენტს. ჩვენ ოსებს კი არ ვებრძვით... არამედ პროტესტს ვაცხადებთ ბიუროკრატიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც სხვისი ხარჯით აპირებს ოსების გაძლიერებას“.

ჯანაშვილი ბრძანებს, — განაგრძობს რ. გაბაშვილი, საქართველო მის მიწაზე მცხოვრები ყველა ეროვნების ქვეყანააო. ნუთუ ვერ ხედავს იგი, თუ როგორ გვავიწროებს უხცო ძალა, როგორ აძლიერებს ქართველის ხარჯზე სხვას. ჯაჯანაშვილის ლოზუნგი ხომ უფრო წაახალისებს საქართველოში უცხოთა ჩამოსახლებას და ეს მაშინ, როცა ქართველი ერის პოლიტიკური იდეალი არ შეიძლება მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების იდეალი იყოს. ჯაჯანაშვილი იმედოვნებს, რომ შეცვლილი პოლიტიკური პირობები საშუალებას მისცემს ქართველებს უპირატესობა შეინარჩუნონ თავის ტერიტორიაზე, მაგრამ მანამდე გულხელდაკრეფილი ხომ არ უნდა ვიყოთ, უქმ ლაყბობას ხომ არ უნდა დავჯერდეთ. „საღ გონებიან პოლიტიკოსს როგორ ეპატიება იმის არცოდნა, რომ მთლიანი ტერიტორია, ეროვნული ერთიანობაა ფუძე, შემდეგში პოლიტიკური პირობების შექმნისათვის და როდესაც დაგვაქუცმაცებენ, როდესაც ცალკე სომხობა, ცალკე ოსობა, ცალკე შიდა გუბერნიების გადმოსახლებულნი დაგვყოფენ,... მაშინ გვიანღა იქნება“ (ჟურნ. „კლდე“, 1913 წ., № 18, გვ. 11-12).

სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნული დემოკრატებისაგან დროულად ატეხილმა განგაშმა გონზე მოიყვანა ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ნაწილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალპარტიულმა პარლამენტმა და სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ თითქმის ყველა შესაძლო ღონისძიება გაატარა საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნების, ქართველი ერის ინტერესების დაცვისათვის. სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ნაწილი კი კვლავ ყალბ ინტერნაციონალურ პოზიციაზე დარჩა. საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკმა ხელმძღვანელებმა ცენტრის კარნახით შიდა ქართლში, რაჭისა და იმერეთის რაიონებში ჩამოხიზნულებს პოლიტიკურ-ტერიტორიული უფლებები უბოძეს, ავტონომიური ოლქი შეუქმნეს, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ეროვნებათაშორის ნორმალური ურთიერთობა. დღის, როდესაც ე. წ. სამხრეთ ოსეთში სიტუაციას ესოდენ დაიძაბა, ჩვენი ახლო მეზობლების სწორი თვალსაზრისის თვალისწინება გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს ოსთა საკითხის სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე გადაჭრაში.

ალექსანდრე ბენდიანიშვილი,
პროფესორი, სახელმწიფო-სამეურნეო ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე

...დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეული, ირღვევა და იმის წილ ახალი დროის შესაფერი უნდა აიგოს, ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი, მიზეზეულ-მოზეზეული გზა და გავიყვანოთ ახალი, უფრო სწორი, პირდაპარი და თამამად გასავლელი... ყველაზე დიდი ეკალი უთანხმოება არის. ეს უთანხმოება, რომელიც ასუსტებს ხალხის ძალას!.. მეცხვარის ძაღლებმაც კი იციან, ჯერ გარეშე მტრის მოგერიება უნდა შეერთებული შრომით და მერე შინაური ბრძოლა.

დღეს ჩვენები რამდენიმე წრედ არიან გაყოფილნი, რომ ერთმანეთს წინ აღუდგნენ, თუმცა ცალ-ცალკე კი ყველას ერთი და იგივე უწერიათ დროშაზე: „ძმობა, ერთობა და სიყვარული!“ ეს უბრალო შეცდომა უნდა გასწორდეს. შეერთებულად უნდა მივადგეთ ყველანი ახალ შენობას. რასაც დღეს ვავაძლევენ, ეს წყალობა არ არის... იძულებითაა... ხალხის ოფლის ღვრითა და სისხლის თხევით მოპოვებული, და ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ უარი ვყოთ!.. უნდა მივიღოთ, მაგრამ კი არ უნდა დავჯერდეთ. ეს არის მხოლოდ ნაწილი და ჩვენ კი სავსებით უნდა ვეძიოთ. ამ მცირედმა რამ ვერ უნდა მოგვისპოს სურვილი!.. ღრმად უნდა ჩავინერგოთ გულში, ვეცადოთ და, თუ ჩვენ ვერ, მოვესწრებით, შვილსა და შვილიშვილებს ვუანდერძოთ. და ისინი მაინც უეჭველად გამარჯვებენ... ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია, და სტიქიონება — გამარჯვება!.. წინ ვერა დაუდგება რა!..

აკაკი

„იერია“, 1905 წ. 2 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლიანი 9 აპრილი

საქართველოს ღმინდა მიწაზე

თომას როსი

იმ დუმილს, აუტანელ დუმილს ვერასოდეს ვერც ერთი ქართველი ვერ დავიწყებს. ათასობით, ათი ათასობით ქალი და კაცი იდგა ან მუხლმოყრილი იყო. მოციმციმე სანთლებით ხელში იდგნენ და ელოდნენ რაღაც საშინელს. რუსთაველის გამზირი ავბედით დუმილს მოეცვა, ხედავდნენ საიერიშოდ გამზადებულ ჯარებს, ფარების კედლებს უკან აღმართულ ჯავშანტრანსპორტიორებს. ავის მაუწყებელი პროკეტორები ენთებოდნენ და ქრებოდნენ. ბოლოს მიკროფონთან მივარდა ჩასხმული ახალგაზრდა, ირაკლი წერეთელი, და შესძახა: „რას დადუმებულხართ, ხალხნო. რაიმე ვიღონოთ!“ და მძლავრი ხმით დაიწყო ლოცვა „მამაო ჩვენო...“ ხალხი აჰყვა.: „... არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ“.

შემდეგ დაიწყო ცეკვა-სიმღერა. უეცრად აგუგუნდნენ მოტორები, დაიძრა ჯარი, წამოვიდნენ ჯავშნოსნები. ეტყობა, თავი ავლანეთში ეგონათ.

ეს მოხდა განთიადის წინ, 1989 წლის 9 აპრილს. ესაა მნიშვნელოვანი თარიღი რუსეთის იმპერიის დაშლის გზაზე. ორას წელზე მეტი გავიდა, რაც იმპერატორმა ეკატერინე მეორემ შემოიმტკიცა საქართველოს ძველი სამეფო და მას შემდეგ არ ჩამქრალა ერის გულში თავისუფლების ცეცხლი.

ვარდების, მიხაკების, შროშანების, ტიტების, თაფლისფერ სახოელთა ზღვა აღმართა აქ ხსოვნის დღეს, ერთი წლის შემდეგ, მთავრობის სასახლისკენ მიმავალ ფართო კიბეზე და გაშლილ მოედანზე. მრავალი სტუმარი იყო ჩამოსული ეცხეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან. ყვავილთა გვირგვინებით ამკობდნენ მოედანს ბალტიისპირელები თუ მეზობელ ხალხთა დელეგაციები, თან თავიანთ პროტესტს გამოხატავდნენ ლოზუნგებით: „ძირს სისხლიანი იმპერიალიზმი!“, „ძმებო, ჩვენ თქვენთანა ვართ“, „თქვენთან ერთად ვბრძოლობთ თავისუფლებისათვის“. კრემლს ბუნაგის სახით ხატავდნენ და ისრები უჩვენებდნენ სისხლიან თარიღებს: უნგრეთი — 1956; ჩეხოსლოვაკია — 1968; ავღანეთი — 1979; ალმა-ათა — 1986; თბილისი — 1956 და 1989. შუაში საკურთხეველივით არის აღმართული წმინდა ნინოს ჯვარი და ქვემოთ წარწერა: „ენა, მამული, სარწმუნოება“.

იმ დღეს, გათენებამდე, ღამის ოთხ საათზე, მთავრობის სასლის წინ მოვიდა საქართველოს ეკლესიის მეთაური, უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და სიტყვით მიმართა ათასობით ქალსა და კაცს, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც დემოკრატიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გამართულ დემონსტრაციაზე იყვნენ გამოსული. „საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, — თქვა პატრიარქმა, — ღმერთი მუდამ ჩვენთან იყო. დღეს ისევ მძიმე განსაცდელის წინაშე ვდგავართ. მოვედი, რათა დაგლოცოთ“. ხალხმა მუხლი მოიყარა და პატრიარქმა ის დალოცა. შემდეგ სოხოვა, შინ წადითო. „ახლა ადექით და წამოდით ჩემთან ერთად სოფლში, თორემ ორიოდე წუთის შემდეგ საშინელი რამ მოხდება“. მაგრამ ხალხმა იგრიალა: „არა, არა, ჩვენ ფიცი გვაქვს დადებული, რომ არ წავალთ, აქვე დავრჩებით“. ვიღაცამ სიმღერა დაიწყო, „გუმარჯოს....“

„თუ სახლებში არ წახვალთ, — თქვა პატრიარქმა, — მაშინ მეც თქვენთან დავრჩები“. ისევ სამოვარდა ლუნელი, რაც სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ახალგაზრდა თავადი წერეთელი ისევ მიკროფონთან მივიდა. შემდეგ ილაპარაკა მერაბ კოსტავამ (რომელიც შემდეგ ავტოავარიაში დაიღუპა): „საქართველოს ცოცხალი ძალა ჯერ დაგვდგომია მძიმე განსაცდელი. დღეს დადგა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წუთები უკანასკნელი სამოცდაათი წლის განმავლობაში, — შესძახა კოსტავამ, — რადგან ჩვენ კვლავ ერთად ვართ და ვიფიქრებთ თავისუფლებას. ამ წუთებს სიხარულით ხვდებიან არა მარტო ცოცხლები, არამედ ჩვენი მიცვალებულნიც“.

ამ დროს გაისმა ჯავშნოსანთა მუქარის მაუწყებელი გუგუნი. საბრძოლო მარშით დაიძრა ჯარისკაცთა ფარებიანი, ფოლადის მუზარადებიანი წყობა. დაიძრა და მიუახლოვდა მომღერალ-მოცეკვავე ხალხს. ვიდეოფირზე აღბეჭდილია ეს საზარელი თავდასხმა და გარკვევით ისმის ყღარუნი, რკინის ბარების ცემის, ჩეზვისა და გოდების ხმები: „შეჩერდით!... ნუ გვცემთ!... ხელები შორს! ნუ ,ლავთ ქალებს!“. ამ ჯოჯოხეთურ ხმაურში იქუხა უდრეკ პატრიოტთა სიმღერამ „საქართველო“. ვიღაცამ შესძახა: „ქალები გადაარჩინეთ!“

მაგრამ სწორედ ქალებსა და ქალიშვილებს უტევდნენ „ყოჩაღი“ სალდათები, ბასრი ბარებით სცემდნენ და ჩეზავდნენ ეს ვანდალები. დამცველ კაცებს მოაცილეს და დაუშინეს ბარები, ხელჯოხები. ასობით მანდილოსანი, მათ შორის ქალიშვილები, დაჭრეს, ზოგიც იმსხვერპლეს. „გაზი! გაზი!“ — შესძახა ვიღაცამ. საბრძოლო, მომწამვლელი გაზი მიუშვეს ხალხზე. უმოწყალოდ დაჩეხეს თხუთმეტი წლის ქალიშვილი, რომელიც წრეს გამოეყო და ქაბუკებთან ერთად ცეკვავდა. ეს იყო თამარი, სეხნია დიდი თამარისა, რომელიც ოქროს საუკუნეში აყვავებულ საქართველოს გახლეგდა, რუსთაველის ეპოქაში, — და რუსთაველის თეატრის წინ მოკლეს წითელმა ჯარისკაცებმა ეს ქალიშვილი, თეთრკაბიანი ტურფა ასული. „ეს ჯარისკაცები არ იყვნენ ადამიანები, თუმცა არც ნადირების გარეგნობა ჰქონდათ“, — იგონებს ცრემლმორეული ქალიშვილი მანანა. „რა დამავიწყებს მათ თვალებს, იმ საზარელ თვალებს! და ღმუოდნენ, როგორც მხეცები: „ჩვენ დაგიხოცავთ ქალებს, ქართველი არ უნდა გამრავლდეს!“ გამოდის, რომ ქართველების მაგიერ ეს ნადირები უნდა გამრავლდნენ!

სსრკ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნა საშინელ დანაშაულს იუწყება. და მაინც, არც ერთი პასუხისმგებელი დამნაშავე არაა პატიმრობაში აყვანილი და პასუხისგებაში მიცემული. ხალხის წარმომადგენელთა საპროტესტო გამოსვლებს საბჭოთა არმიის ერთ-ერთმა უმაღლესმა წარმომადგენელმა გენერალმა კატუსევმა ცინიკური გამოსვლით უპასუხა. ღირსეული ხალხი პროტესტის ნიშნად ადგა და ყრილობის დარბაზიდან გავიდა. თვით საგარეო საქმეთა მინისტრი, უწმინდესი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი, აღშფოთებული გავიდა. მასთან ერთად უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვის ღირსეული დეპუტატები. შევარდნაძემაც და მთელმა ხალხმაც მოითხოვა ამიერკავკასიის ძალების მაშინდელი სამხედრო ხელმძღვანელის, სარდალ როდიონოვის გაწვევა და გადადგომა. 1989 წლის 24 დეკემბერს დარჩენილმა დეპუტატებმა, ძირითადად რუსეთის სამხედრო სამსახურის წარმომადგენლებმა მჭუბარუტაშით დაიჯილდოვეს ჯალათი გენერალი, დღეს ეს ჯალათი დიდი სამხედრო სასწავლებლის რექტორია მოსკოვში. „სამხედროები, არმიის ხელისუფალნი ამუხრუჭებენ ბიუროკრატიას“, — ჩვენს რესპუბლიკის ერთ-ერთი მესვეური.

ეროვნული ჩასუქებულმა მოხუცმა რუსმა დედაკაცმა სამგლოვიარო ყვავილების ზღვაში წყნარად მითხრა: „მეტი უნდა დაესოცათ ქართველები! ხომ იცით, ესენი არიან უსაქმური, ზარმაცი, მოუსვენარი ქურდების ჯილაგი. ჩვენ, რუსებმა და გერმანელებმა ვიცით, რაც არის წესრიგი და დისციპლინა.“

ზიზღით გადავზვდე იმპერიის მოხას. რა იცის ამან?

მე კი ისიც ვიცი, რომ 9 აპრილის ბარბაროსული აქცია ერთ-ერთი ფერმენტია რუსეთის იმპერიის დაშლისა. არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც აღიმართა მარმარილოს დაფები, ყვავილებით შემკული. 9 აპრილის მოსაგონებლად გამართულ ბანკეტზე იყვნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები.

სუფრას ამშვენებდა ჩინებული კერძები, მწვანილი, თეთრი და წითელი ღვინო. საქართველოში ხომ ათასწლეულების წინ, ძველ ბერძნებზე ადრე იყო ყურძნისა და ღვინის დახვეწილი კულტურა, ბერძნული სიმპოზიების მსგავსად არსებობდა სუფრის კულტურა და ეთიკეტი. სუფრას უძღვება ამორჩეული დარბაისელი კაცი, თამადა, მსგავსი ბერძენთა სიმპოზიარქისა. ამჯერად თამადაა თავადი წერეთელი. ბუმბერაზი მსახიობი ზეპირად ამბობს ციტატას მეთორმეტე საუკუნის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოემიდან: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძღევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“. მსახიობები ძველებურ სიმღერას მღერიან, ლიშვილები, დაჭრეს, ზოგიც იმსხვერპლეს. „გაზი! გაზი!“ — შესძახა ვიღაცამ. საბრძოლო, მომწამვლელი გაზი მიუშვეს ხალხზე. უმოწყალოდ დაჩეხეს თხუთმეტი წლის ქალიშვილი, რომელიც წრეს გამოეყო და ქაბუკებთან ერთად ცეკვავდა. ეს იყო თამარი, სეხნია დიდი თამარისა, რომელიც ოქროს საუკუნეში აყვავებულ საქართველოს გახლეგდა, რუსთაველის ეპოქაში, — და რუსთაველის თეატრის წინ მოკლეს წითელმა ჯარისკაცებმა ეს ქალიშვილი, თეთრკაბიანი ტურფა ასული. „ეს ჯარისკაცები არ იყვნენ ადამიანები, თუმცა არც ნადირების გარეგნობა ჰქონდათ“, — იგონებს ცრემლმორეული ქალიშვილი მანანა. „რა დამავიწყებს მათ თვალებს, იმ საზარელ თვალებს! და ღმუოდნენ, როგორც მხეცები: „ჩვენ დაგიხოცავთ ქალებს, ქართველი არ უნდა გამრავლდეს!“ გამოდის, რომ ქართველების მაგიერ ეს ნადირები უნდა გამრავლდნენ!

სსრკ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნა საშინელ დანაშაულს იუწყება. და მაინც, არც ერთი პასუხისმგებელი დამნაშავე არაა პატიმრობაში აყვანილი და პასუხისგებაში მიცემული. ხალხის წარმომადგენელთა საპროტესტო გამოსვლებს საბჭოთა არმიის ერთ-ერთმა უმაღლესმა წარმომადგენელმა გენერალმა კატუსევმა ცინიკური გამოსვლით უპასუხა. ღირსეული ხალხი პროტესტის ნიშნად ადგა და ყრილობის დარბაზიდან გავიდა. თვით საგარეო საქმეთა მინისტრი, უწმინდესი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი, აღშფოთებული გავიდა. მასთან ერთად უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვის ღირსეული დეპუტატები. შევარდნაძემაც და მთელმა ხალხმაც მოითხოვა ამიერკავკასიის ძალების მაშინდელი სამხედრო ხელმძღვანელის, სარდალ როდიონოვის გაწვევა და გადადგომა. 1989 წლის 24 დეკემბერს დარჩენილმა დეპუტატებმა, ძირითადად რუსეთის სამხედრო სამსახურის წარმომადგენლებმა მჭუბარუტაშით დაჯილდოვეს ჯალათი გენერალი, დღეს ეს ჯალათი დიდი სამხედრო სასწავლებლის რექტორია მოსკოვში. „სამხედროები, არმიის ხელისუფალნი ამუხრუჭებენ ბიუროკრატიას“, — ჩვენს რესპუბლიკის ერთ-ერთი მესვეური.

ეროვნული ჩასუქებულმა მოხუცმა რუსმა დედაკაცმა სამგლოვიარო ყვავილების ზღვაში წყნარად მითხრა: „მეტი უნდა დაესოცათ ქართველები! ხომ იცით, ესენი არიან უსაქმური, ზარმაცი, მოუსვენარი ქურდების ჯილაგი. ჩვენ, რუსებმა და გერმანელებმა ვიცით, რაც არის წესრიგი და დისციპლინა.“

ზიზღით გადავზვდე იმპერიის მოხას. რა იცის ამან?

მე კი ისიც ვიცი, რომ 9 აპრილის ბარბაროსული აქცია ერთ-ერთი ფერმენტია რუსეთის იმპერიის დაშლისა. არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც აღიმართა მარმარილოს დაფები, ყვავილებით შემკული. 9 აპრილის მოსაგონებლად გამართულ ბანკეტზე იყვნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები.

სუფრას ამშვენებდა ჩინებული კერძები, მწვანილი, თეთრი და წითელი ღვინო. საქართველოში ხომ ათასწლეულების წინ, ძველ ბერძნებზე ადრე იყო ყურძნისა და ღვინის დახვეწილი კულტურა, ბერძნული სიმპოზიების მსგავსად არსებობდა სუფრის კულტურა და ეთიკეტი. სუფრას უძღვება ამორჩეული დარბაისელი კაცი, თამადა, მსგავსი ბერძენთა სიმპოზიარქისა. ამჯერად თამადაა თავადი წერეთელი. ბუმბერაზი მსახიობი ზეპირად ამბობს ციტატას მეთორმეტე საუკუნის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოემიდან: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძღევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“. მსახიობები ძველებურ სიმღერას მღერიან, მოდიან ჩემთან და მლოცავენ.

მოძრაობის ლიდერებს დიდი ძალა აქვთ, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის მარმარილოს სასახლეში დაბინავებულან, ხალხი ათას რამეს ითხოვს და ფიქრობენ, რომ მით უკვე დიდი ძალაუფლება აქვთ. აქ ყველაფერი პოეტურ შარავანდედშია გახვეული. ყველამ ზეპირად იცის რუსთაველის პოემის ნაწყვეტები; მოძრაობის სათავეებთან დგანან გასული საუკუნის დიდი ქართველი პოეტები, მონობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ერი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ითხოვს. ხანმოკლე გამოდგა ქართველი ხალხის ახდენილი ოცნების ნაყოფი, საქართველოს დამოუკიდებლობა. მას შემდეგ, რაც საოკუპაციო ჯარმა 1920 წლის აპრილში დაიპყრო დამოუკიდებელი აზერბაიჯანი და იმავე წლის დეკემბერში სოჩხეთი, 1921 წლის 11 თებერვალს მან მოახდინა თავისუფალი საქართველოს ანექსია.

„ეხე ახეთი ხოფელი, არვიხგან
მიხანდობელი,
ნამია კაცთა თვალიხა და
ნამწამიხა მხწრობელი...“

საბჭოთა არმიის ამ უხეში ოპერაციის შემდეგ საქართველოს ხალხმა და მთავრობამ საქვეყნოდ განაცხადეს, რომ „ჩვენ ანექსირებული ქვეყანა ვართ“.

მაგრამ საქართველოსა და ბალტიისპირეთის პარალელებს ცოტა ფრთხილად უნდა შევხედოთ. ასეთია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერის, ერის საყვარელი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ბვილის, მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისიც. ისაა ჭელსინკის ჯგუფისა და ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე. ნაჩქარევი ნაბიჯებისაგან აფრთხილებს ხალხს, ეუბნეთ უყურებს ოფიციალურ და არაოფიციალურ მმართველ წრეებს, ხშირად ახსენებს ჯალათობსა და მოდალატეებს. „ლიტვაში კომპარტია დემოკრატიული, ჩვენში დღემდე ბოლშევიკური იყო“, ამბობს თავის გამოსვლებში. მოითხოვს „დამპყრობელთა არმიის წასვლას“, საოკუპაციო ჯარში სამსახურზე უარის თქმას, მარიონეტული უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტს, დაუმორჩილებლობას. დიალოგი ხელისუფლებასთან თუ ძალაუფლება, — ჩვენ ორივესთვის ზზად ვიყოთ“. ისინი მოწინააღმდეგენი არიან ძალადობისა, ეშინოთ დემოგრაფიული განვითარება. „ამ საკუთარ მიწა-წყალზე უმცირესობა არ აღმოვჩნდეთო“. „კუბელი უფრო მეტად მრაელდებ, ვიდრე ჩვენ, — ამბობს, — ყურდღლებს ხუთ-ხუთი შვილი ჰყავთ, ჩვენ მხოლოდ თითო. გადამეიელთა სომრავლე ქართველებზე დაწოლის ლონისძიებაა. ვისაც კარიერის გაკეთება სურს, უმჯობესია სხვა ერის შვილად ჩაეწეროს, შფოთავს ერის ლიდერი.

ქვეყნიერების რომელ კუთხეშია ასეთ პატარა მიწა-წყალზე ამდენი ერი და ეროვნება თავმოყრილი? ჯერ კიდევ პლინიუსი წერდა, აქ ასოცდაათი თარჯიმანიაო საჭირო, ხოლო არაბი გეოგრაფები კავკასიას „ენების მთას“ უწოდებდნენ. აქ გადიოდა გზები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აქ იყო განსაცვიფრებლად ნაყოფიერი ველები, მთები და ხეობები, ყოველივე ეს იზიდავდა ყველას, სახლდებოდნენ ამ სტუმართმოყვარე ქვეყანაში და უკან აღარ მიდიოდნენ.

ბერძნებისათვის კავკასია იყო ქვეყნიერების კიდე, სადაც იყო მიჯაჭვული პრომეთე, სამეფოლო ჭქონდა ჰეფესტოსს, მზის შვილი მეფობდა. ცის ლაჟვარდში ატყორცნილი ყაზბეგის დათოვლილი მთა, ხეხილის ბაღები იფურჩქნებიან ხეობებში, დინჯად მიედინება მოდოდუდუნე მტკვარი, ფერდობებზე შეფენილი ცხვრის ფარა.

ჩვენ გორში ვართ. ზვიად გამსახურდიას, ამაზე „ჩვენ ვკითხეთ და არ გვიპასუხეს“.

ვითარება კი დაძაბულია. სურათების გალერეის შესასვლელთან გრძელ სკამებზე თვეობით სხედან შაოსანი მანდილოსნები. ორსავე მხარეს ჰკიდია მათი შვილების — ვაჟებისა და ასულების ფოტოები. ეს ახალგაზრდები მოკლეს. ქალები სამართალს ითხოვენ, რომ გამოიძიონ და დასაჯონ დამნაშავეები.

ოპოზიციურ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებში მოითხოვენ „კმარა!“ მოთხრობილია იმ საყოველთაო უხეშობის, ძალადობის ამბები, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა არმიაში განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ. ქართველ წვევამდელებს, ჯარისკაცებს ლანძღავენ, სცემენ, ტყვეთად ან სხვა იარაღით კლავენ, აწამებენ, აიძულებენ თავი მოიკლან. გასულ წელს ცხრაასამდე ჭაბუკმა უარი განაცხადა ასეთ არმიაში სამსახურზე.

ქუჩებში დგას მაგიდები, სადაც მსურველნი უარს აცხადებენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე — სწორედ ასეთ გაუმართლებელ უხეშობათა საპასუხოდ. უკვე შეგროვილია ორმოცდაათი ათასზე მეტი ხელმოწერა.

გამსახურდიას და მის მიმდევართა რწმენით, ქართველი ერი თავისუფლებას მოიპოვებს. ეს იქნება დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენაც, რასაც ეს ხალხი საუკუნეთა იმსახურებს. საწყენია, რომ ამ საქმეში ერთიანი ძალისხმევის ნაცვლად პარტიები მტრულად დაქუცმაცებული არიან, ერთიმეორეს არ ეთანხმებიან. დღემდე ვერ მოხერხდა ერთი დიალოგიც რომელიმე ოპოზიციასთან. საპირო კი ერის კონსოლიდაციას სამართლეს საერთო ძალით უნდა მიაღწიონ.

ათეული წლობით დევნისა და დამცირების შემდეგ ქართულმა ეკლესიამ კვლავ დაიბრუნა მძლავრება. ჩვენ ვნახეთ მორწმუნეები გაპედილი ეკლესიები და მლოცავი ახალგაზრდები. რეგოლუციის წინ ქართულ ეკლესიას ჰქონდა 25 000 სამლოცველო, ტაძარი, სადაც, დღეს კი სულ სამასამდე ეკლესია აქვს. მაგრამ ზედიზედ იხსნება ახალი ეკლესიები. აქამდე საამისოდ საჭირო იყო მთავრობა ნებართვა, 9 აპრილს შემდეგ ეს აღარაა საჭირო.

საქართველო ერთი პატარა ქვეყანაა, ძველი სამეფო, უძველესი ისტორიისა და უძველესი კულტურის მფლობელი, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უძველესი ევროპის ხაწყისებში, — პროტო-ევროპისა, რომელიც ბალთიშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპიროებთან იყო ,ადაშლილი და რომლის მემკვიდრეებიც ჩვენ ვართ. ამ შორეულ წარსულშიც კი, ისტორიის საწყისებთან, პატარა ხალხებს ჰქონდათ შანსი დამოუკიდებლობისა და აყვავებისა. შემდეგ, რაც უფრო განვრცო დიდი სახელმწიფოების საზღვრები, მით უფრო გაუჭირდათ პატარა ქვეყნებს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. 1393 წლიდან, როცა მთელი ათწლეულის განმავლობაში თემურ ლენგი ზედიზედ თავის დამნგრეველ ლაშქრობებს აწყობდა, მერე კი 145 წლიდან, როცა საქრისტიანომ ევროპამ ბერგა კონსტანტინოპოლი და ის ბალთა იმპერიამ დაიპყრო, კავკასიის ბედიც მაშინ გადაწყდა. ერთი, გაძლიერდა მუსულმანური გარემოცვა, მერე მნიშვნელოვანი მსოფლიო სავაჭრო გზებიც მეთელება იცვალა, ინდოეთის სავაჭრო გზის აღმოჩენამ ამოსავალი ჩამოაშორა ისინი. მას შემდეგ, საქართველო რეჯიმმა ზეგავლენის ერის საქმე გაძნელდა და მეტი მეტი საუკუნის დასაწყისისა უკვე ქართველთა რაოდენობა ზვავარ მილიონს ვერ შეადგენდა. ეს იყო ძლიერი და განაწყალებული ქვეყანა...

დღესაც ძნიმე იქნება საქართველოს გზა თავისუფლებისა და მოუკიდებლობისაკენ, საიმედო ნაკლებია შანსი ,ერის გამო. თუ ოდესმე ერ ნუხაზე ოქროს საწმისის ადგილ წყვილ ჯინსებს დაკიდებენ, ეს შემთხვევაში მითოპოეტური სურათველო გაჭრება.

„ზრანაფუჩრტერ ალლგემაინე ცაიტუნგ“,
9 ივნისი, 1990.

თარგმ.
აკაკი ბელოვანი

*აბეჭდება მცირე შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მოსაზრება

1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მოვლენების გარემოებათა შემსწავლელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის წევრის, გენერალ-ლეიტენანტის, სამ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის

ი. ი. ჯორჯაძისა
15 მაისი, 1989 წ.

ბ. გამოვთქვამ მოსაზრებას ორ საკითხზე:

1. **ვინ გასცა ბრძანება?**

2. **შეიძლებოდა თუ არა სისხლისღვრისა და ქიმიური იარაღით სიცოცხლის თავიდან აცილება?**

1. კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ გასცა ბრძანება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისადმი, წამოჭრა ჯერ კიდევ 33 წლის წინ, 1956 წლის 9 მარტს ქ. თბილისში დაიხვრიტა მთელი ქვეყნის მასშტაბით პირველი მშვიდობიანი, სპორტსტუდენტი დემონსტრაციისა ტუდენტებისა და მოსწავლეებისა, რომელიც გაუსწორდნენ სასტიკად, ესროდნენ მიჯრით, ჭყლეტდნენ ტანკებით, გვამებს ცხ მტკვარში ყრიდნენ. ქვეყანაში ამ პირველ სისხლიან აქციას ხელმძღვანელობდა **გენერალი ფედიუნინსკი.**

ბოლოდ ათეული წლების შემდეგ გაირკვა, რომ **ბრძანება გასცა თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ სკკ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესმა მთავარსარდალმა** [illegible] **ოვმა.** მოხდა ქვეყანაში პირველი სისხლიანი დანაშაული, რომელიც იქ დამსწრე ჯუ დე-მ ფა[illegible] **ი აქცია** უწოდა.

[illegible] კვლავ, თბილისში, 1989 წლის [illegible] აპრილს, მშვიდობიან დემონსტრაციას ალყას არტყამს ჯარი — თოფებით, სასანგრე ნიჩბებითა და ბელტოხებით შეიარაღებული ჯარისკაცები მხეცურად კლავენ ფეხმძიმე ქალებს, ქალიშვილებს შეძახილებით: „ესეც შენ, სტალინელო ლახპა, აჩინე ბერიები“.

თითქოს ეს არ კმაროდა, მშვიდობიანი დემონსტრაციის, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, პირველად საბჭოთა ხალხის ისტორიაში გამოიყენეს ქიმიური იარაღი, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა მასობრივი მოწამლვა და მსხვერპლი.

ქ. თბილისის ამ აქციაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები. გარდა ამისა, მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოისროლეს სსრკ შინაგანი ჯარების სპეციალურად გაწრთვნილი 520 ჯარისკაცი **გენერალ ეფიმოვის** მეთაურობით, რომელსაც საგანგებოდ ჩამოყვანილ სხვა ჯარების ნაწილებთან ერთად აქციის დასაწყისისათვის, 1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათისთვის, თავის გამგებლობაში ჰყავდა 1900 კაცი. სწორედ ამ ნაწილებმა ჩაიდინეს მეტნაკლებად სადისტური-საქციელი. გაბოროტებულებმა, ბავშვობიდანვე ანტისტალინური პროპაგანდით მოწამლულებმა მხეცურ სასაკლაოდ აქციეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, რაც უბოროტეს ანტიქართულ აქციაში გადაიზარდა. ამიტომაც უწოდა **ქართველმა ხალხმა ამ სისხლიან აქციას ფაშიხტური.**

ისევ წამოიჭრა მთავარი კითხვა — **ვინ გასცა ბრძანება?**

ჯერ-ჯერობით, ჯერ-ჯერობით, ეს ამ საქმეზე, გაჭიანურდეს და უთვალავ კომისიებში ჩაიკარგოს, მოჰყავთ დაუჯერებელი, ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები. თბილისში მუშაობს ცენტრის ყველა კომისია, მათ შორის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაც, რომელსაც გასარკვევი ცენტრში უფრო მეტი აქვს. მოსკოვში კი ვითომც არაფერი — სიწყნარეა.

დიახ, აქ იყო ყველაფერი. ისიც, რომ ზოგიერთი ქართველი ხელმძღვანელი, შეშინებული საკუთარი ხალხისაგან, დაბეჯითებით თხოულობდა სამხედრო ოლქის საპრძოლო მზადყოფნას და მხარდაჭერას ცენტრის შინაგანი ჯარების საგანგებო ნაწილებისაგან. თუმცა, ჯარების ყოველი ოპერაციისას ყოველთვის მზადდება რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან პირველი პირი არჩევს ერთადერთ გადაწყვეტილებას და და გასცემს ბრძანებას.

ელემენტარული სამხედრო ჭეშმარიტება ასეთია: უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება ქვეყანაში ეკუთვნის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, იგივე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, რომელიც შეიარაღებული ჯარების უმაღლესი მთავარსარდალია და უშუალოდ მას ექვემდებარება ყველა სახეობის ჯარი, მათ შორის საოლქო, სასაზღვრო ჯარებიც, შინაგანი ჯარებიც...

მის გარდა არავის აქვს უფლება საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანოს ოლქის ჯარები და სხვა ძალები, შემოიღოს ქვეყნის რეგიონებში სამხედრო მდგომარეობა, გამოაცხადოს კომენდანტის საათი.

ამასთან, მართვის თანამედროვე ავტომატიზირებული სისტემების მეშვეობით უმაღლეს მთავარსარდალს ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია მოახდინოს ელვისებური რეაგირება გლობალური მასშტაბით.

აქედან გამომდინარე, თბილისში ჯარების შეყვანის **ბრძანება გაცემულია სახელმწიფოსა და არმიის პირველი პირის — მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვის** მიერ. ამასთან ოპერაციის დაწყებასა და მსვლელობას, რომელიც გეგმით დანიშნული იყო 1989 წლის 9 აპრილის დილის 4 საათისთვის, მოსკოვი არ ხელმძღვანელობდა, რადგანაც, როცა „სისხლისღვრა დაიწყო, მისი — „სდეკ-ბრძანებით“ შეჩერება და ჯარების გაყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა — ჯარისკაცები გათენებამდე დასდევდნენ უმწეო ქალებს და ბოლოს უღებდნენ. ჯარის დისლოკაციის ზონიდან საკმაოდ შორს.

და ყველაზე ნთავარი, — ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, თბილისში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, გამოყენებულ იქნა ქიმიური იარაღი, რისგანაც მოიწამლა ათასობით ადამიანი და დაიღუპა რამდენიმე.

ეს არის სიმართლე, რაც უნდა იცოდეს ხალხმა!

II. მე წარმოგიდგენთ ერთადერთ ეგზემპლარად შესრულებულ სქემას, რომლიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით ყოველგვარი იარაღის გარეშე შეიძლებოდა სისხლისღვრისა და ქიმიური იარაღის გამოყენების თავიდან აცილება. ამისთვის საქართველოს შს მინისტრ გორგოძის განკარგულებაში იყო 580 მილიციელი, შესაბამისი ტექნიკა და სხვა საშუალებები გზების გადასაკეტად.

უშუალოდ მთავრობის სახლთან იყო 250 ფორმიანი და 150 სამოქალაქო ტანსაცმლიანი მილიციელი, მაგრამ არც სქემა განიხილეს და გორგოძეც ისე დაუქვემდებარეს გენერალ-პოდპოლკოვნიკ როდიონოვს 8 აპრილს, რომ მასთან არც ოპერატიული, არც სხვა კავშირი არ დაუმყარებიათ.

გამოვიდა ისე, რომ მთავრობამ საკუთარი ძალები სრულიად უგულებელყო, რომ არაფერი ვთქვათ ათასობით პარტიულ და კომკავშირულ ფუნქციონერზე.

მთავრობა დაეყრდნო მხოლოდ გარეშე ძალებს, რომელთაც თავიანთი შაკი საქმე გააკეთეს, ხოლო ქართულმა მილიციამ მოაწყო ცოცხალი დერეფანი, რომელმაც შეუწყო ხელი მოშიშშილთა და ტრავმირებულ ქალთა და ბავშვთა გახიზვნას.

ასე რომ, ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებლად მოქმედი ძალა თავიანთი სამეთაურო ჰუნქტებით, რომელთა შორის არ იყო ურთიერთშეთანხმება მოქმედებაში, რამაც გამოიწვია პატარა მონაკვეთზე ნაწილების ისეთი არევ-დარევა, რომ ადგილი ჰქონდა ქართული მილიციის რუსულ მილიციასთან შეჯახების შემთხვევებს. ამის შესახებ გასაგებად მოახსენეს კომისიებს გორგოძემ და გვენცაძემ.

ისტორია გვასწავლის, რომ მკვლელების გამოზრდა არ შეიძლება. აუცილებელია მოსკოვის რაზმის დათხოვნა, საპირო, აღდგეს ტრადიციული არმიის შექმნის ლენინური პრინციპი, რისთვისაც გამოდგება შეიარაღებული ძალების შენების მილიციური ნოდელი. ამის გამოცდილება კი ჩვენ გვაქვს.

რედაქციის მინაწერი:

1989 წლის ცხრა აპრილის წვიდევ გორბაჩოვმა ისე ამბრძოლა ოთხარება, ისე დახლართა გზები, ისეთი „მონდომებით“ შექმნა „სამართლის დასადგენად“ საკავშირო კომისია, რომ თვით დახჭილი და გამწარებული ქართველების ნაწილშიც კი შექმნა ილუზია თავისი უცოდველობის შესახებ.

თუმცა, კომუნისტთა ხრიკების მცოდნე ადამიანებს ამთავითვეც არ ეპარებოდათ ეჭვი ამაში, რომ 9 აპრილის სისხლიანი ადეთნი ქართველებს სსრკ-ის უპირველესმა ოვაზაკმა გაგვითენა. მაგრამ ერთი რიგითი მოქალაქის აზრი და სხვა, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა არმიის დამსახურებული გენერლის, ბატონ ი. ჯორჯაძის ოფიციალურ განცხადებას. ეს [illegible] თვალსაწინებელია ისიც, რომ [illegible] ნერალმა ჯორჯაძემ აღნიშნული [illegible] ნაცხადი 1989 წელს, მაისში გა[illegible] კეთა და არა დღეს, რაც ამ [illegible] ბუთს უფრო ღირებულსა და [illegible] შვნელოვანს ხდის. (თუმცა, [illegible] სამწუხაროდ, ლენინურ ადგილებს [illegible] მუდამად მაინც ვერ შეიტანა, [illegible] ორც ეს ტექსტიდანაც ჩანს).

